საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №3

2025 წლის 28 იანვარი

ქ. თბილისი

,,სამხედრო-სამედიცინო კომისიის შექმნის, მის მიერ სამედიცინო შემოწმების/ექსპერტიზის ორგანიზებისა და განხორციელების წესის და შესაბამისი დაავადებების/ტრავმების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 6 მარტის №37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამხედრო-სამედიცინო კომისიის შექმნის, მის მიერ სამედიცინო შემოწმების/ექსპერტიზის ორგანიზებისა და განხორციელების წესის და შესაბამისი დაავადებების/ტრავმების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 6 მარტის №37 ბრძანებაში (ვებგვერდი, 07/03/2024, სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017214) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ამ მუხლის მიზნებისათვის წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გასაწვევი პირის სამედიცინო შემოწმების ბარათის მოქმედების ვადაა 6 თვე. ამ ვადის განმავლობაში, გასაწვევი პირის მიერ ჯანმრთელობის გაუარესებაზე ჩივილის შემთხვევაში, მას უტარდება დამატებითი კვლევები და საჭიროებისას განმეორებით განესაზღვრება შესაბამისობის კატეგორია.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**